საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3542
07/08/2025

3542-01-2-202508070920

რომან ტაგიევს

[redacted]

გაცნობებთ რომ, სსიპ-საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო), თქვენს განცხადებებთან დაკავშირებით გამოითხოვა ინფორმაცია შპს „აისითისაგან“ (ს/ნ: 406115797) (შემდგომში - მოვაჭრე).

სააგენტოს 2025 წლის პირველი ივლისის N02/2809 წერილის პასუხად, მოვაჭრემ 2025 წლის 21 ივლისს წარმოადგინა N01/4352 წერილი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად, რომლის თანახმადაც, მომხმარებლის მიერ შეძენილ მოწყობილობას არ აღენიშნება თავდაპირველი ნაკლი და დიაგნოსტირების შედეგად დადგინდა, რომ შემავალი და გამავალი ელექტრო ძაბვა ფუნქციონირებს გამართულად, შეფერხების გარეშე; დატენვის მექანიზმი მუშაობს სათანადოდ; ვიბრაციის დონე სრულად შეესაბამება მოწყობილობის შესაბამის რეჟიმებს; დამატებით მოწყობილობა გაიტესტა მაქსიმალურ რეჟიმში საშუალოდ 10 წუთის განმავლობაში და სტანდარტული რეჟიმი - 20 წუთამდე, რა დროსაც არ გამოვლენილა არანაირი გადახრა ხმაურისა და ვიბრაციის დონეში.

დანართის სახით გეგზავნებათ მოვაჭრის 2025 წლის 21 ივლისის N01/4352 წერილი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად და გთხოვთ, „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, წერილის ჩაბარებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგინოთ თქვენი დაზუსტებული პოზიცია წერილში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ასევე წარმოადგინოთ შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ თქვენ მიერ შეძენილ ნივთს აღენიშნება ნაკლი.**

დანართი: 5 გვერდი; 1 ვიდეო.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE